



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 92

2019 წლის 6 აგვისტო
ქ. თბილისი

2019 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში
დარეგისტრირებული პროექტების საბოლოო ქულის დაანგარიშების და დაფინანსების წესის დამტკიცების
შესახებ

„გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N1016569, 05.08.2019) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2019 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსზე დარეგისტრირებული პროექტების საბოლოო ქულის დაანგარიშების და დაფინანსების წესი ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2019 წლის კონკურსში დარეგისტრირებული პროექტების საბოლოო ქულის გამოთვლისა და დაფინანსების წესები.

§ 1. პროექტის საბოლოო ქულის გამოთვლის წესი.

1. კონკურსის I ეტაპზე მონაწილე პროექტების შეფასება.

1.1.1 კონკურსის I ეტაპზე მონაწილე პროექტები ფასდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის დადგენილება № 85 -ის დანართი 2-ში მოცემული პირველ ეტაპზე მონაწილე პროექტების კონცეფციების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

1.1.2 პროექტის კონცეფცია შესაფასებლად გადაეცემა კომისიას.

1.1.3 საბოლოო შეფასება იქნება კომისიის თვისებრივი გადაწყვეტილება „კი“ ან „არა“. (გადაწყვეტილება „კი“ მიიღება იმ შემთხვევაში, თუ პროექტის კონცეფცია ორივე კრიტერიუმის მიხედვით მიიღებს დადებით შეფასებას, სხვა შემთხვევებში მიიღება „არა“ გადაწყვეტილება)

2. კონკურსის I დან II ეტაპზე გადასვლის პირობები.

1.2.1 კონკურსის I დან II ეტაპზე გადადის ყველა პროექტი, რომელთა საბოლოო შეფასება იქნება „კი“.

3. კონკურსის II ეტაპზე მონაწილე პროექტებისათვის საბოლოო შეფასება.

1.3.1 კონკურსის II ეტაპზე მონაწილე პროექტები ფასდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის დადგენილება № 85 -ის დანართი 2-ში მოცემული მეორე ეტაპზე გადასული პროექტების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

1.3.2 პროექტი შესაფასებლად გადაეცემა ორ დამოუკიდებელ ექსპერტს.

1.3.3 საბოლოო შეფასება იქნება ექსპერტების მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკული.

4. კონკურსის II დან III ეტაპზე გადასვლის პირობები.

1.4.1 კონკურსის II დან III ეტაპზე გადადის ყველა პროექტი, რომელთა საბოლოო შეფასება კონკურსის II ეტაპზე, მეტია ან ტოლი 15-ის და ამავე დროს I კრიტერიუმის მიხედვით პროექტის საბოლოო¹ შეფასება აღემატება 3-ს.

5. კონკურსის III ეტაპზე მონაწილე პროექტებისათვის საბოლოო შეფასება.

1.5.1 კონკურსის III ეტაპზე მონაწილე პროექტები ფასდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის დადგენილება № 85 -ის დანართი 2-ში მოცემული მესამე ეტაპზე გადასული პროექტების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

1.5.2 მესამე ეტაპზე მონაწილე პროექტები ფასდება სამეცნიერო ხელმძღვანელის ან/და ძირითადი პერსონალის მიერ გაკეთებული პრეზენტაციების წარდგენის საფუძველზე კომისიის მიერ.

6. კონკურსის III ეტაპის წარმატებით გადალახვის პირობები.

1.6.1 კონკურსის III ეტაპს წარმატებით გადალახავს და გააგრძელებს კონკურსში მონაწილეობას ყველა პროექტი, რომელთა საბოლოო შეფასება კონკურსის III ეტაპზე მეტია ან ტოლი 8-ის და ამავე დროს როგორც I, ასევე II კრიტერიუმების მიხედვით პროექტის საბოლოო შეფასება აღემატება 3-ს.

1.6.2 თუ პროექტის შეფასება არ აკმაყოფილებს 1.6.1 პირობას, მაშინ მისი დაფინანსების საკითხი არ განიხილება.

7. პროექტების საბოლოო ქულა.

1.7.1 პროექტის საბოლოო ქულა წარმოადგენს კონკურსის II და III ეტაპებზე მიღებულ საბოლოო შეფასებათა ჯამს.

¹ პროექტის საბოლოო შეფასება კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით წარმოადგენს ექსპერტების შეფასებების საშუალო არითმეტიკულს აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით.

§ 2. პროექტების დაფინანსების წესი.

1. საუკეთესო პროექტების განსაზღვრის წესი კატეგორიებისა და პრიორიტეტების მიხედვით.

- 2.1.1 თითოეული კატეგორიიდან (1, 2, 3) პრიორიტეტული მიმართულების ან პრიორიტეტული ქვემიმართულების პროექტებს ეწოდებათ პრიორიტეტული პროექტები.
- 2.1.2 შეიქმნება ახალი კატეგორია 4, რომელშიც დაჯგუფდება 1, 2, 3 კატეგორიებიდან პრიორიტეტული პროექტები. შესაბამისად, კატეგორია 1, 2, 3 განიხილება პრიორიტეტული პროექტების გარეშე.
- 2.1.3 1, 2, 3 კატეგორიებისათვის საუკეთესო პროექტების განსაზღვრის მიზნით, პირველ ეტაპზე გამოითვლება ცალ-ცალკე თითოეული ამ კატეგორიის ყველა იმ პროექტების ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომლებმაც წარმატებით გადალახეს კონკურსის III ეტაპი და შესაბამისად აღინიშნება q_1, q_2, q_3 -ით.
- 2.1.4 1, 2, 3 კატეგორიებისათვის საუკეთესო პროექტების განსაზღვრის მიზნით, მეორე ეტაპზე გამოითვლება ცალ-ცალკე თითოეული ამ კატეგორიის ყველა იმ პროექტების ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომლებიც მეტია ან ტოლია შესაბამისად q_1, q_2, q_3 - ზე და აღინიშნება შესაბამისად n_1, n_2, n_3 - ით.
- 2.1.5 n_1, n_2, n_3 არის შესაბამისად 1, 2, 3 კატეგორიის ქვედა ზღვარი.
- 2.1.6 პროექტებს, რომელთა შეფასებაც მეტია ან ტოლია შესაბამისი კატეგორიის ქვედა ზღვარზე, ეწოდებათ საუკეთესო პროექტები.
- 2.1.7 კატეგორია 4-ში საუკეთესო პროექტების განსაზღვრა ერთეტაპიანია. გამოითვლება კატეგორია 4-ის ყველა იმ პროექტების ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომლებმაც წარმატებით გადალახეს კონკურსის III ეტაპი და შესაბამისად აღინიშნება n_4 -ით.
- 2.1.8 n_4 არის შესაბამისად კატეგორია 4-ის ქვედა ზღვარი.
- 2.1.9 კატეგორია 4-ში პროექტებს, რომელთა შეფასებაც მეტია ან ტოლია n_4 - ზე ეწოდებათ საუკეთესო პროექტები.

2. კონკურსის ბიუჯეტის განაწილების წესი კატეგორიების მიხედვით .

დაფინანსების მოპოვებისათვის თითოეული კატეგორიისათვის განიხილება მხოლოდ საუკეთესო პროექტები.

- 2.2.1 თითოეული კატეგორიისათვის (1, 2, 3, 4) განისაზღვრება კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით:

$$k_1 = \frac{t_1}{T}, \quad k_2 = \frac{3t_2}{T}, \quad k_3 = \frac{3t_3}{T}, \quad k_4 = \frac{\tau_1 + 3(\tau_2 + \tau_3)}{T},$$

სადაც t_1, t_2, t_3 წარმოადგენენ შესაბამისად 1, 2, 3, კატეგორიებში საუკეთესო პროექტების რაოდენობას, τ_1, τ_2 და τ_3 წარმოადგენენ კატეგორია 4-ის იმ საუკეთესო პროექტების რაოდენობას, რომლებიც თავდაპირველად ეკუთვნოდნენ შესაბამისად 1, 2 და 3 კატეგორიებს. ხოლო $T = t_1 + \tau_1 + 3(t_2 + \tau_2 + t_3 + \tau_3)$

2.2.2 თითოეული კატეგორიისთვის (1, 2, 3, 4) განისაზღვრება ბიუჯეტი შემდეგი ფორმულით:

$$B_1 = k_1 \cdot Q, \quad B_2 = k_2 \cdot Q, \quad B_3 = k_3 \cdot Q, \quad B_4 = k_4 \cdot Q$$

სადაც Q არის კონკურსის ბიუჯეტი, ხოლო $B_1, B_2, B_3,$ და $B_4,$ შესაბამისად 1, 2, 3 და 4 კატეგორიების ბიუჯეტებია.

3. პროექტების დაფინანსების წესი.

- 2.3.1 თითოეული კატეგორიისთვის (1, 2, 3, 4) ცალ-ცალკე კეთდება ქულების მიხედვით ყველა იმ პროექტების რანჟირებული სიები, რომლებმაც წარმატებით გადალახეს კონკურსის III ეტაპი.
- 2.3.2 ყოველ კატეგორიაში ფინანსდება მხოლოდ საუკეთესო პროექტები შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვემოთ), სანამ კატეგორიისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი სრულად იძლევა პროექტის დაფინანსების საშუალებას.
- 2.3.3 r_1 -ით აღინიშნება თანხის ოდენობა, რომელიც დარჩება პირველ კატეგორიაში ნაშთის სახით, r_2 -ით აღინიშნება თანხის ოდენობა რომელიც დარჩება მეორე კატეგორიაში ნაშთის სახით, და ა.შ. ხოლო r_4 -ით აღინიშნება თანხის ოდენობა რომელიც დარჩება მეოთხე კატეგორიაში ნაშთის სახით.

$$R = r_1 + r_2 + r_3 + r_4$$

სადაც R არის ოთხივე კატეგორიაში შემავალი ნაშთების სახით დარჩენილი თანხათა ჯამი.

- 2.3.4 R თანხა ნაწილდება დაფინანსების გარეშე დარჩენილ პროექტებს შორის ერთიანი რანჟირებული სიიდან (ზევიდან ქვევით), კატეგორიების გაუთვალისწინებლად.
- 2.3.5 ზემოაღნიშნული პროცედურების შემდეგ, ნაშთის სახით დარჩენილი თანხა, რომელიც არ იქნება საკმარისი ერთიანი რანჟირებული სიის რიგით შემდეგი პროექტის დასაფინანსებლად, დაბრუნდება ფონდის ბიუჯეტში.